

ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით გაერთიანების დირექტორის 2019 წლის 05 თებერვლის №01-03/შ-01 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის

**ოქმი №1**  
**საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის (CPV79320000)**  
**მომსახურების შესყიდვის ელექტრონული ტენდერი**  
**აუქციონის გარეშე (NAT)**

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

1. კახა აბულაძე - ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ დირექტორი;

კომისიის წევრები:

2. ნანა რობიტაშვილი - ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ დირექტორის მოადგილე.
3. ვახტანგ გაგნიძე - ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ იურისტი.

აპარატის წევრი:

4. დავით ძოწენიძე - ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ შესყიდვების მენეჯერი.

სხდომა გადაწყვეტილებათარჩანია.

სხდომის ჩატარების ადგილი და დრო: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 89/24, მე-6 სართული, 12:00 სთ.

**დღის წესრიგი**

ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ მიერ გრანტის ფარგლებში (გრანტის გამცემი: განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტო, რომელიც მოქმედებს ევროპის კომისიის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით) ქ.თბილისის მერიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისათვის ახალგაზრდობის სფეროში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის (CPV79320000) მომსახურების შესყიდვის ერთეობიანი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) განცხადების დამტკიცება.

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარემ კახა აბულაძემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ ახალგაზრდობის სფეროში ქ.თბილისის მერიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისათვის საჭიროა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურების შესყიდვა. კახა აბულაძემ ასევე მოახსენა კომისიის წევრებს ჩატარებული წინამოსამზადებელი სამუშაოების შესახებ, ასევე სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებული გრანტის ბიუჯეტის ასიგნებების შესახებ, რომლის საფუძველზე განისაზღვრა სავარაუდო ღირებულება (დღგ-ს გარეშე) **46000.00 ლარის** (ორმოცდაექვსიათასი ლარი და 00 თეთრი) ოდენობით და წარუდგინა სატენდერო აპარატის მიერ მომზადებული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების პროექტი.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად ფასები შეესაბამება დღევანდელ რეალობას და აღნიშნული ფასი მიღებული იქნა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილია სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული ტენდერის განცხადების გამოქვეყნება და სატენდერო დოკუმენტაციის აქტირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

#### კენჭისყრის შედეგები:

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა კენჭისყრის დროს მხარი დაუჭირა წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტს

#### კომისიამ დაადგინა:

- o მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით.
- o დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო განცხადება.
- o დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო განცხადების აქტირთვა უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

#### კომისიის თავმჯდომარე:

1. კახა აბულაძე

#### კომისიის წევრები:

2. ნანა რობიტაშვილი

3. ეხტანგ გაგნიძე

#### აპარატის წევრი:

4. დავით მოწინიძე

ნ. რობიტაშვილი

დ. მოწინიძე